

форм старого и нового литературного языка, сосуществование старого и нового, в частности, случаи применения полугласного а. Колеблется применение з, которое постепенно исчезает в словах, начинающихся на гласный. В морфологии начинается параллельное применение старых и новых форм. Полностью совпадает с нормами ново-грузинского формы именительного падежа слов с гласным в корне, лишь в родительном падеже еще используют форму древне-грузинского и т.д.

Правда, язык "Сеиланиани" является средне-грузинским, но его грамматические нормы не всегда являются едиными. Наглядным является сосуществование старого и нового. Особенно это видно по своеобразию фонетической системы. Как раз это и является ступенью нового литературного языка. Историко-литературное изучение "Сеиланиани" дает, которое придает ему персидской лит. точки зрения гр

899.962.1(03) - 1550 -

ყ-203

ყვებულება ნ. ბ.

XVIII საუკუნის ქართული
ლიტერატურის ("სეილანიანი")

- 1550 -

899.962.1(03)

ყ-203 ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი

ბელნაწერის უფლებით

ნელი თედორეს ასული უგრესელიძე


XVIII საუკუნის ქართული პროზის ისტორიიდან

("სეილანიანი")

(10.01.01., ქართული ლიტერატურა)

ავტორეფერატი

ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის
სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად



თბილისი

1996

ნაშრომი შესრულებულია ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის
სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული ლიტერატურის კათედრაზე

სამეცნიერო ხელმძღვანელები: ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი
აკად. ალ. გვასარია.


ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი
აკად. დ. ბრეგაძე.

მასპერტი: ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი
პროფ. ლ. მენაბდე.

ოპიციალური ოპონენტები: ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი
აკად. მ. თოდუა.

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი
აკად. ზ. კიკნაძე.

წამყვანი ორგანიზაცია- შ. რუსთაველის სახელობის ქართული
ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტი.



დისერტაციის დასვა შეფასება "16" "12" 1997წ. "13" საათზე

ივ. აკაკიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ფილოლოგიის ფარგის სადისერტაციო საბჭოს P.10.01.C. №2 სხდომაზე.

☐ ი. ქაჭავაძის პრ. №1.

დისერტაციის გაცნობა შეიძლება თსუ ცენტრალურ ბიბლიოთეკაში.

ავტორიზებული დანიშნულება "10" "12" 1997წ.

სადისერტაციო საბჭოს სწავლული მდივანი:  (პროფ. ნ. ტაბიძე)

თემის აქტუალობა. უძველესი დროიდან საქართველო პოლიტიკურად და კულტურულად მჭიდროდ იყო დაკავშირებული აღმოსავლეთის ქვეყნებთან. განსაკუთრებული ინტენსივობით გამოირჩეოდა ურთიერთობა ირანთან. ეს ურთიერთობა ყველაზე მეტად გამოვლინდა ლიტერატურაში.

ქართულ - სპარსულ ლიტერატურულ ურთიერთობას მრავალსაუკუნოვანი ისტორია აქვს. როგორც აკად. კ. კეკელიძე აღნიშნავს, "ქართველი ხალხი არასდროს ყოფილა კულტურულად შემოზღუდული. ის ყოველთვის მხარს უბამდა ცხოვრების რიტმსა და მიმდინარეობას. ამიტომ ისინი გაუფაცვიცებით ადევნებდნენ თვალყურს მსოფლიო ლიტერატურის მონაპოვარს და შეძლებისდაგვარად კიდევაც ითვისებდნენ მას".¹

სპარსული ლიტერატურის ძეგლთა თარგმანებს განსაკუთრებული ყურადღება მიექცა ე.წ. "აღმომჩინების" ხანაში. ამ პერიოდში ძირითადად ითარგმნა საგმირო - საფალავნო, სამიჯნურო და დიდაქტიკური ჟანრის თხზულებები, როგორიცაა: "ბახთიარ-ნამე", "ჩარდარვიშიანი", "მირიანი", "ყარამანიანი", "ვარშაყიანი", "სეილანიანი" და მრავალი სხვა.

"სეილანიანი" XVIII საუკუნის ქართული პროზის ერთ-ერთი საყურადღებო და ნაკლებშესწავლილი ძეგლია. ქართულ მწერლობაში მისი არსებობა თითქმის შეუმჩნეველია და არც დამოუკიდებელი მონოგრაფიული შესწავლის ობიექტი არ გამხდარა. დღემდე ეს ვრცელი თხზულება სრულად გამოქვეყნებულიც არ არის. ამიტომ მისი მეცნიერული შესწავლა და ისტორიულ - ლიტერატურული ანალიზი ერთგვარად შეავსებს ამ დარგში არსებულ ხარვეზს.

ნაშრომის მიზანი. სადისერტაციო ნაშრომის მიზანს შეადგენს "სეილანიანის" მეცნიერული შესწავლა. ძირითადი მიზნის მისაღწევად დავისახეთ შემდეგი ამოცანები:

- შეგვესწავლა ძეგლის სხვადასხვა ხელნაწერები და გაგვერკვია მათი ურთიერთმიმართება;
- გაგვერკვია ძეგლის თარგმნის თარიღი;
- დაგვედგინა ძეგლის ავტორის ვინაობა და წყაროს საკითხი;

¹ კ. კეკელიძე, მთარგმნელობითი მეთოდი ძველ ქართულ ლიტერატურაში და მისი სახითი, ეტიუდები, I, თბ.: 1956, გვ.185